განცხადება

დამოუკიდებლობა უნდა დარჩეს დამოუკიდებლობად

ევროპული კულტურის გადატვირთვა - საგზაო რუკა 2024 წლამდე

„Reset!“, ევროპული ქსელი, რომელიც 2022 წელს „არტი ფარტის“-ს მიერ, ლიონში შეიქმნა, დამოუკიდებელ კულტურულ და მედია სტრუქტურებს აერთიანებს, რომლებიც ევროპაში მრავალფეროვნებას და პლურალიზმს წარმოადგენს და მათ გამჭვირვალობას და ქსელურ კავშირებს, თანმიმდევრული მოქმედებების საშუალებით აძლიერებს.

ქსელის მიზანია, ყურადღება გაამახვილოს სტრესულ სიტუაციებზე და თანამედროვე კულტურული დამოუკიდებლობის განსაკუთრებულ საჭიროებებზე, რომელიც არ არის სამთავრობო ორგანოების კონტროლის ქვეშ და მსხვილ კერძო ჯგუფებს არ უკავშირდება.

ევროპაში კულტურული და მედია ლანდშაფტის შესაცვლელად (გადატვირთვა) ერთობლივი მუშაობა, „Reset!“-ის მთავარი მიზანია. არსებობის მეორე წლის განმავლობაში, “Reset!”-ს და მის წევრებს სურთ, განაცხადონ თავისი მოთხოვნის შესახებ, დაიცვან და მხარი დაუჭირონ პლურალიზმის საერთო ღირებულებებს, განსხვავებულობას, თანასწორობას და მდგრადობას, 2024 წლის ევროპული არჩევნების გზაზე.

ევროპა გარდამტეხ მომენტშია. მაშინ, როცა კონტინენტზე ისევ ომი მძვინვარებს, რიგ ქვეყნებში ხელისუფლებაში შავბნელი, რეაქციული და ავტორიტარული ძალები მოდიან, რომლებიც, ცენზურის საშუალებით, თავისუფალ სიტყვასა და კულტურათა გაცვლაზე უჩვეულო ზეწოლას ახდენენ. დღესდღეობით, დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და კულტურის მოღვაწეები, როგორც არასდროს, განიცდიან სხვადასხვა სახის მრავალ მუქარას - გაქრობიდან, რეპრესიების და მიტაცების ჩათვლით, მათ სექტორში მუდმივი ეკონომიკური კონცენტრაციის ფონზე.

შესუსტების მიუხედავად, ეს სტრუქტურები მაინც კარგად არიან აღჭურვილნი, ევროპაში არსებულ დაძაბულობაზე რეაგირებისთვის და მუდმივად მუშაობენ ახალი მიდგომებისა და ნარატივების შემუშავებაზე, რათა მიმდინარე რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების კლიმატში და ხელისუფლების მხრიდან მუქარის დინამიკაში, ორიენტირება შეძლონ. როცა ევროპულ არჩევნებამდე ერთი წელი რჩება, ჩვენ, დამოუკიდებელ კულტურულ სტრუქტურებს და ორგანიზაცია „Reset!“-ის მედია-წევრებს, გვინდა გაგაფრთხილოთ საფრთხეზე, რომელიც ჩვენს სექტორს ემუქრება და წვლილი შევიტანოთ ახალი კულტურული, სოციალური და დემოკრატიული მანიფესტის დაწერაში. „Reset!“ გიწვევთ ყველას, ვინც იზიარებს ჩვენს ხედვას, ევროპისთვის სამართლიანი კულტურული და მედია ლანდშაფტის შესახებ, შემოგვიერთდით, რათა ამ მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებისთვის, თქვენი წვლილი შეიტანოთ.

ჩვენ უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, გამოვიყენოთ დამოუკიდებელი კულტურული სტრუქტურების კვლევითი და შორსმხედველი აზრობნება, რომელიც მომავალი თაობების პრაქტიკასთანაა ადაპტირებული, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენი დროის სერიოზულ გამოწვევებს - ეკოლოგიური საკითხებიდან, თანასწორობამდე, ჩართულობამდე, ტექნოლოგიურ დეცენტრალიზაციამდე, შრომის კანონმდებლობამდე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და ასე შემდეგ. ამრიგად, უნდა დავძლიოთ სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში, თაობათა შორის არსებული განხეთქილება.

ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია, წინ აღვუდგეთ ევროპაში კულტურის სფეროს - მუსიკის, საგამომცემლო საქმის და

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების - მიმდინარე კონცენტრაციის ტენდენციას, რომელიც მზარდ შემოქმედებით კომმოდიფიკაციასთან ერთად, სერიოზულ რისკს ქმნის დამოუკიდებელი კულტურის არსებობისა და გადარჩენისთვის, ასევე შემოქმედებითი თავისუფლების, მხატვრული მრავალფეროვნების, აზროვნების პლურალიზმისა და მთლიანად, ალტერნატიული ნარატივებისა და ხმების ზრდისთვის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, საზღვრებს გარეთ და შიგნით. თავისუფლების შეგრძნება და რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანაბარი წვდომა რესურსებსა და შესაძლებლობებზე, როგორც ავტოკრატიული სახელმწიფო ძალაუფლების, ისევე მტაცებლური მონოპოლისტური კერძო ჯგუფების მხრიდან გარე კონტროლის, გავლენის და იძულების გარეშე.

ჩვენ, დამოუკიდებლები, ვქმნით ეკოსისტემას, რომლის მუშაობა აუცილებელია ყველანაირი შემოქმედებითი ინიციატივის ზრდისთვის ტერიტორიებზე, რომლებსაც ევროპის კონტინენტზე და მის გარეთ წარმოვადგენთ. ჩვენ წარმოვადგენთ კულტურულ და მედია ლანდშაფტს, რომელიც დაფუძნებულია დაინტერესებულ საზოგადოებებზე, ორიენტირებულია ახალგაზრდობაზე და სოციალურად გააზრებულია. ჩვენ გამოვდივართ ხედვებისა და ნოუ-ჰაუს სასარგებლოდ, რომლებსაც ჩვენი კულტურის მომავლისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გამოვდივართ ევროპული და მსოფლიო თანამშრომლობისთვის, ქსელური ურთიერთობის შესაქმნელად და სიახლეებისადმი, უცნობისადმი, განსხვავებულობისადმი და უცხოსადმი გახსნილობისაკენ. ჩვენთვის სექტორთაშორისი, ერთობლივი მშენებლობა, ჩვენი მუშაობის მომავლის გასაღებია.

ევროპის პარლამენტის არჩევნებამდე, მომდევნო 12 თვის განმავლობაში, ჩვენ ვეცდებით, გავლენა მოვახდინოთ იმაზე, თუ როგორ მუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა, ევროპული საბჭოს დონეზე. კერძოდ, ხელს შევუწყობთ ფინანსური რესურსების უფრო თანაბარ გადანაწილებას, საგანგებო შემთხვევაში სოციალური, პოლიტიკური და ეკოლოგიური დახმარების გასაწევად.

განგაშის გამოცხადების გარდა, აღნიშნული განცხადების მიზანია ყველას გაერთიანება, ვინც იზიარებს კულტურის დამოუკიდებლობის ძირითადი მნიშვნელობების გადააზრების აუცილებლობას, სექტორების თანამშრომლობის მეთოდებს და მათ ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სექტორთან. ჩვენ განსაკუთრებული როლი უნდა ვითამაშოთ კულტურის ალტერნატიული ხედვის გარშემო, მოქალაქეების გაერთიანებაში, რომლის ცენტრალური მამოძრავებელია თავისუფლება; ასევე შემოქმედებითი ინიციატივის ერთიანობის გრძნობის შექმნა და სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, სოციალური შეგნების ამაღლება.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი ხმამაღალი მოწოდებებით და ერთიანი ფრონტით, ამ არჩევნებისთვის გამოსვლების დაწყებით, ჩვენ შევძლებთ, კულტურისთვის, მედიისა და ხელოვნებისთვის, ახალი ევროპული პარადიგმის ახალი დამფუძნებელი აქტის შექმნას, რომელიც ყველასთვის სამართლიანი და ინკლუზიური იქნება, როგორც ევროპულ საზღვრებში, ისე მის ფარგლებს გარეთ და მომავალი თაობებისთვის.